



გიორგი გოგოლაძე, რა გავლენა ქართულ ელემენტს სისხლში: რუსეთი!

მე ვიცი, სადაც ჩამოვდი და რაც უნდა ვაკეთო – გვითხრა გუშინ ავსტრალიელმა ტიმ ლეინმა, ან უკვე საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელმა, რომელმაც საქართველოს რაგბის კავშირთან ოთხნობიანი, 500 ათას ევროდ ღირებული კონტრაქტი გააფორმა.

გავისვენოთ, რომ ტიმ ლეინი 1999 წელს ავსტრალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის, რომელმაც მაქსიმის თანაშემწე იყო. იმ სეზონში ავსტრალიამ მსოფლიოს თასი მოიგო, რის მერეც ლეინი სამხრეთ აფრიკის ნაკრების მეორე მწვრთნელად დაინიშნა, თუმცა ჰარი ფილბოუნთან უთანხმოების გამო კონტრაქტი განწყვიტა და იტალიის ნაკრების მწვრთნელის, ლეგენდარული ახალბედა ნდელის ჯონ ქირვანის თანაშემწედ დაინიშნა.

საკლუბო რაგბიში კი ტიმ ლეინი წვრთნიდა ფრანგულ ელიტარულ კლუბებს: ლევან ცაბაძის, გოდერძი შველიძის და დავით ზურაბიშვილის „ელურმონს“ და გია ლაბაძის „ტულონს“. „ელურმონი“ ტიმ ლეინმა საფრანგეთის ჩემპიონატის ფინალშიც ათამაშა და იქ „სტად ფრანსესთან“ წააგო...

... საქართველოს ნაკრების ახალი მწვრთნელი თბილისში გუშინ სალამოს ჩამოფრინდა და სახელდახელო ინტერვიუც ჩამოვართვით...

— დეიუტი საკმაოდ ძლიერ პორტუგალიელებთან გეჩნება. საამისოდ სულ რაღაც ხუთი დღე დაგროვდა. გეყოფათ ეს დრო ჩვენი ნაკრების მოსამზადებლად?

— ეს დრო საკმარისი მართლაც არ არის, მაგრამ გავითვალისწინოთ ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორებიც: მსოფლიოს თასის შემდეგ საქართველოს ნაკრებში თაობათა ცვლის პროცესი დაიწყო; ასევე რუმინეთში და პორტუგალიაშიც ვინც ახლა სანაკრებოდაა გამოძახებული, მათ დიდ ნაწილს მე კი არა, ალბათ, თქვენც არ იცნობთ. ამიტომ ვფიქრობ, დრო არ დამიკარგავს. საქართველოს რაგბის კავშირთან ერთად ჩვენ ახალი გუნდის კეთებას ვიწყებთ. ეს იძულებითი ნაბიჯია, რადგან ბევრმა ვეტერანმა და გამოცდილმა მოთამაშემ სანაკრებო კარიერა დაასრულა. ცხადია, ამ მოკლე ვადაში ძალიან რთული იქნება პორტუგალიასთან, ერთ კვირაში კი რუმინეთთან აუცილებლად გამარჯვებაზე ფიქრი. ზოგადად კი, მე კარგად ვიცი ქართველების ძლიერი და სუსტი მხარეები.

— მსოფლიოს თასის შემდეგ ქართველი ქომაგი ნაკრებისგან მაქსიმალურ შედეგს ითხოვს. პორტუგალიასთან მარცხი კი ძალიან მტკივნეული იქნება...

— მე არ მითქვამს, რომ წაგავებთ. მე ვთქვი,

რომ პირველ ეტაპზე მაქსიმალურ შედეგს ნუ მოგვთხოვთ, რადგან ერთმანეთის გასაცნობად დრო გვჭირდება. თანაც მოსაწესრიგებელია ლეგიონერების ნაკრებში გამოშვების საკითხი. თუმცა მჯერა, რომ საქართველოს ნაკრებს ძალიან დიდი პოტენციალი აქვს.

— ამბობთ, რომ საქართველოს ნაკრებს საკმაოდ პოტენციალი გააჩნია. სანამ ნაკრების მთავარი მწვრთნელი გახდებით, ჩვენი გუნდის თამაშები თუ ნახეთ?

— მხოლოდ ვიდეოფირებზე, თუმცა დეტალურ ინფორმაციას გია ლაბაძისგან ვიღებდი.

— საქართველოს საფეხბურთო ნაკრების გერმანულ მწვრთნელ კლაუს ტოპპიოლერს ხშირად აკრიტიკებენ, საქართველოში დიდ დროს არ ატარებსო. თქვენს შემთხვევაში როგორ იქნება?

— საქართველოს რაგბის კავშირმა პირდაპირ მომთხოვა, რომ წელიწადში ექვსი-შვიდი თვე საქართველოში გავატარო. სწორედ ამიტომ ვკითხე რჩევა ჩემს ოჯახს. მეუღლემ მითხრა, რომ სადაც გირჩევენია, იქ უნდა იმუშავო. მწვრთნელის ცხოვრება ეს არის, მუდამ ჩემოდნებზე უნდა იჯდეს. თანაც მე საამისო საკმაოდ დიდი გამოცდილება მაქვს. ჩემი უფროსი ვაჟი სამხრეთ

აფრიკაში ცხოვრობს, მეუღლე და ქალ-ვაჟი კი ავსტრალიაში არიან. როგორმე მოვახერხებთ ურთიერთობას. მთავარია, ამან საქართველოს ნაკრებს ხელი არ შეუშალოს.

— როდესაც ნაკრების მთავარი მწვრთნელი თანამშემწეების ჩამოყვანა არ გიფიქრიათ?

— ცხადია, ასეც იყო, მაგრამ საქართველოს რაგბის კავშირის ხელმძღვანელობამ თანამშემწეებად ლევან ცაბაძის და ვიქტორ დიდუბულიძის კანდიდატურები შემომთავაზა. ამას მაშინვე დაეთანხმდი, რადგან ცაბაძეს და დიდუბულიძეს რეკომენდაცია არ სჭირდებათ! მათ დაამტკიცეს, რომ უმაღლესი დონის მორაგბეები იყვნენ და დარწმუნებული ვარ, არანაკლები მწვრთნელები იქნებიან. ესეც რომ არა, საქართველოს რაგბის კავშირის პოზიციას პატივს ვცემ და შევნებული მაქვს, რომ მთელი პასუხისმგებლობა მე დამეკისრება.

— სხვათა შორის, ორივე თქვენი თანამშემწე ამპლუით მორკინალია, რაშიც ჩვენები ძლიერები არიან...

— მივხვდი, რასაც მეკითხებით. საქართველოს ნაკრების სიძლიერის ოთხმოცი პროცენტი მორკინალებზე მოდის. დანარჩენი კი უკანახაზელებისაა. სპეციალობით უკანახაზის მწვრთნელი ვარ. ცხადია, ჩემი მიზან-

ნი დრივე ხაზის დაბალანსებაა. სწორედ იმიტომ არიან შეკრებაზე უმეტესად უკანახაზელები, რათა სამომავლოდ მათგან ბირთვი ავარჩიო და საქართველოს ნაკრები ყველანაირად ბრძოლისუნარიანი გავხადო.

— აუცილებლად უნდა გკითხოთ: აპრილში სტუმრად ეთამაშებით რუსეთის ნაკრებს, რომელსაც ქართველების ყოფილი მწვრთნელი, ფრანგი კლოდ სორელი წვრთნის იცით, რომ რუსეთის ნაკრებთან თამაშს ქართველებისთვის სულ სხვა დატვირთვა აქვს?

— როგორც გინდათ, ისე გამოგეთ, მაგრამ რუსეთთან თამაში ჩემთვის ყველაზე იოლი იქნება. ერთი მხრივ, გუნდის ბირთვი უკვე ჩამოყალიბებული იქნება და მეორეც: სადაც კი მიმუშავია, ყველგან მოტივაციის პრობლემა მქონდა. ამ მატჩისთვის კი გუნდის ფსიქოლოგიური მომზადება არ დამჭირდება. ეს ქართველებს სისხლში გაქვთ. მხოლოდ ტექნიკურ სიახლეებს მივაქცევ ყურადღებას, საამატჩოდ განწყობა კი ქართველებს არ გესწავლებათ. ბიჭები, სულ რომ არაფერი ვუთხრა, ისედაც დამუხტულები გავლენ მოედანზე და თუ ჩემს დავალებებს შეასრულებენ, ასი პროცენტით დარწმუნებული ვარ — საქართველო რუსეთს გადაუკლავს!

ბაჩო სვანიძე

მეორესი, მუსსია!

საქართველოს ნაკრების ახალდანიშნული მწვრთნელის, ტიმ ლეინის ჩამოსვლამდე საქართველოს რაგბის კავშირის ხელმძღვანელობამ მედიელები არაოფიციალურად გვისტუმრა და აქეთურ-იქითურზე შინაურულად გვესაუბრა.

ოფიციალურად კი გუშინ გაირკვა, რომ ჩვენს ნაკრებთან აღარ იმუშავებს ფრანგი ფიტნეს-მწვრთნელი ნიკოლა ფულკი, ვინც თავის საქმეში მართლაც რომ ჭიპმოჭრილი კაცია და მისი გარჯის შედეგი ამ მსოფლიოს თასზეც გამოჩნდა.


„ჩვენ დიდი სურვილი გვქონდა, რომ ნიკოლა ფულკისთან თანამშრომლობა გაგვეგრძელებინა. კონტრაქტზე შეთანხმებულებიც ვიყავით და საკმაოდ დიდ ანაზღაურებასაც ვპირდებოდით, მაგრამ მას უკეთესი შემოთავაზება გამოუჩნდა და დროებით სხვაგან მუშაობა არჩია“ — გვითხრა გუშინ საქართველოს რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტმა გია ნიჟარაძემ.

გამორიცხული არაა, ნიკოლა ფულკი „ლელოებს“ დაუბრუნდეს, იმ შემთხვევაში, თუ ჩვენები 2011 წლის მსოფლიოს თასზე გავლენ. იქამდე კი, სად გააგრძელებს თავის სამწვრთნელო კარიერას, ფულკი ვერაჯერობით საიდუმლოდ ტოვებს.

ერთი სიახლეც: 2 თებერვლის პორტუგალიასთან მატჩისთვის საქართველოს ნაკრების წინასწარ გამოცხადებული შემადგენლობა კიდევ უფრო გაფართოვდა. ადრე გამოცხადებულ 25-კაციან სიას კიდევ სამი მორაგბე დაემატა. პორტუგალიასთან საბრძოლო 22-კაციან განაცხადს ლეინი მატჩამდე ერთი დღით ადრე ჩამოწერს, მანამდე კი მოემზადებიან:

შპრკინება: დავიდ დაუნაშვილი, ვოდერი შველიძე, დავიდ ქუბრაშვილი, ანტონ ფეიქრიშვილი, ირაკლი ნატრიაშვილი, ლევან დათუნაშვილი, კახა უჩავა, შალვა სუთიაშვილი, ვიორგი ჩხაიძე, რატი ურუშაძე, დავით ბასილაია, ზვიად მისურაძე

შპანახაზი: ირაკლი აბუსერიძე, ბიძინა სამხარაძე, მერაბ კვიციანიშვილი, დავით კაჭარავა, ვიორგი კაჭარავა, რევაზ გიგაური, ოთარ ბარკალაია, ბესიკ ხამაშურიძე, ვიორგი შკინინი, ლაშა მალაღურაძე, ლაშა ხმალაძე, ვიორგი ელიზბარაშვილი, სანდრო ნიჟარაძე, ირაკლი გეგენავა, ირაკლი ჩხიკავაძე, თემურ სოხაძე



ნიკოლა ფულკი ქართველებს დაემშვიდობა

გიორგი გოგოლაძე

ნიკოლა ფულკი

ოლიმპი და უკრაინა: მალე

სანატ პეტროპოლისში „თანამეგობრობის თასზე“ ნათამაშემა რუსთავეის „ოლიმპი“ რამდენიმე დღის შემდეგ ვარჯიში გუშინ განაახლა — ანატოლი პისკოვეცმა გუნდი რუსთავეის შეკრება და ფეხბურთელებს კროსი არბენინა.

საქართველოში ვერ არ ჩამოსულან უკრაინელი ლეგიონერები — ალექსანდრ ომელიანოვი, სერგეი პატულა და ანტონ კოვა-

ლევსკი. ისინი გუნდს 1 თებერვალს შეუერთდებიან.

როგორც კლუბის პრეზიდენტი ბადრი ქაჩაშვილიმ განაცხადა, ამ ფეხბურთელთა „ოლიმპი“ ჩარიცხვა, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია.

„ოლიმპი“ მეორე შეკრებას, სავარაუდოდ, ურეკში გაივლის.

ნაჭრი ლოლაძე



ბორჯომის გაზი გაუვიდა

პარტული ფეხბურთი და ფინანსური სიდუხჭირე ერთმანეთს ვერაფრით ღალატობენ — ეროვნულ ჩემპიონატში მთამაშე კლუბების უმრავლესობას ძალიან ღირსი ბიუჯეტი აქვს...

უფულობის გამო პირველ წრეში ნაყოჩაღარი „ბორჯომი“ მწვრთნელ-ფეხბურთელებმა დატოვეს.

„ფეხბურთელები წავიდნენ და მე იქ რა გავაკეთო?! ამ დღეებში

კლუბის პრეზიდენტი უნდა შემომხმამანებოდა, თუ რამე შეიცვლებოდა, მაგრამ ეტყობა, ახალი არაფერია“ — გვითხრა „ბორჯომის“ ყოფილმა თავაჯცამ ვლადიმერ ხაჩიძემ და ისიც დაამატა, „ბორჯომი“ მეორე წრეში ფარმ-კლუბით ითამაშებს, თუმც პირველ წრეში იმდენი ქულა დავაგროვეთ, ლიგდან არ გავარდებიანო.

ნაჭრი ლოლაძე

ზესტაფონმა თურქეთი კორეით დაიწყო



ბადრი კატილაძის ფოტო

საპარტიველოს ჩემპიონატისთვის მზადებას „ზესტაფონი“ თურქეთში აგრძელებს და პირველი საკონტროლო მატჩიც გამართა. თურქული შეკრება იმერლებმა მარცხით დაიწყეს — კორეულ „იონსისთან“ 0:1 დამარცხდნენ.

პირველი ტაიმი კორეულთა უპირატესობით წარიმართა და მათ მე-20 წუთზე გოლის გატანაც მოახერხეს. თემურ მახარაძემ შესვენებაზე თითქმის მთელი გუნდი შეცვალა. იმერლებმა შეძლეს უპირატესობის მოპოვება, თუმც ახალგაზრდა ფეხბურთელებს გამოცდილება და სიზუსტე აღარ ეყოთ.

„ზესტაფონმა“ ეს მატჩი ასეთი შემადგენლობით ითამაშა: გ. ჭანტურია (რ. კვასხვაძე 46), ს. თოდუა (მახტურიძე 46), სავაია (შ. ღონღაძე 46), რ. ონიანი (ლობჯანიძე 46), ვიეირა (გორგიაშვილი 69), გ. ჭელიძე (ხუმარაშვილი 46), კესანი (დაუშვილი 46), ხიდეშელი (ბენაშვილი 46), გელაშვილი (ნ. კვასხვაძე 46), ბ. გოციურიძე (იონანძე 46), ფიფია (ბიტოი 46).

იმერლებს კორეელებთან „რევანსის“ აღება 5 თებერვალს შეეძლება, როდესაც „ბელეკის თასზე“ კორეულ „ჟეჟუს“ შეხვდებიან.

შეგახსენებთ, რომ „ბელეკის თასზე“ „ზესტაფონი“ კორეელების გარდა რუმინულ „ჩაკლაუს“ და ტაჯიკურ „რეგარ-ტადაზს“ ეთამაშებიან.

სხვათა შორის, ტაჯიკებთან „ზესტაფონმა“ შარშანდელ შეკრებაზე ითამაშეს და ნიკა კვასხვაძისა და პოლ კესანის გოლებით 2:0 დაამარცხეს.

მიხეილ შორელიანი

ბათუმს დინამოდან დაეხმარებიან პროფლიბის ვალი გადახდილია

„ბათუმი“ ვერაც არ გაძლიერებულა, ანუ ისევ ადგილობრივი ფეხბურთელებით ვარჯიშობს, თუმც გუნდის თავაჯცმა ავთანდილ კუნჭულიამ გვითხრა, თბილისის „დინამოსთან“ უკვე მოლაპარაკებულები ვართ და სამოთხ ფეხბურთელს, რომლებიც თბილისელებს მეორე შეკრებაზე არ გააჰყვებიან, ჩვენთან გამოუშვებენ განათხოვრებით.

კახა მახარაძე, თუმც კუნჭულიას თქმით, მან თუ „ზესტაფონთან“ ან „ოლიმპთან“ ვერ მიიღწია შეთანხმებას, „ბათუმს“ დაუბრუნდება.

1 თებერვალს ბათუმელები ზუგდიდის „მგლებს“ შეხვდებიან და კიდევ რამდენიმე ტესტ-მატჩს გამართავენ, მათ შორის, „ოლიმპთან“.

მერიაში შეხვედრა გვექნა და პროფლიგაში შესატანი საწვერო თანხა გადავიხადებ. ნაწილი, 15 ათასი ლარი დასაფარი გვექნა. საერთოდ, დაფინანსების მხრივ გადაუჭრელი პრობლემები არ გვაქვს. ადრე ნახსენები ამერიკელი ბიზნესმენის მიერ „ბათუმის“ ყიდვის ვარიანტი კი გამოირიცხა“ — გვითხრა კუნჭულიამ.

ილია ნანოზაშვილი

ამერიკა დაბადების დღე მურალად აღნიშნა



დავით ბოლქვაძე სიმურგელთა შორის

გუშინ თბილისის „ამერი“ აზერბაიჯანულ „სიმურგს“ გაეჯიბრა და უგოლოდ გაეყარა.

აქამდე „ამერს“ ტესტ-მატჩებში ასპროცენტინი შედეგი ჰქონდათ — 2:1 ბოლნისის „სიონთან“ და 2:0 თბილისის „მერანთან“.

მატჩი უხვორობაში გამოდგა, თუმც საგოლე მომენტები ბევრი არ შექმნილა.

ამერიელებს პირველ ტაიმი უფრო მეტად გაუჭირდათ, მეორეში კი გაილაღეს და მეტოქის საჯარიმოს, ფაქტობრივად, არ მოშორებინა. თუმცა „სიმურგს“ სწორედ ამ დროს გამოუვიდა ყველაზე სახიფათო კონტრშეტევა და „ამერი“ გოლისგან ლადო ნადირაშვილმა იხსნა.

იქამდე კი „ყვითლებმა“ გოლიც გაიტანეს, მაგრამ თენგიზ ჩიკვილაძემ ბურთის დამუშავებისას ხელიც დაიხმარა და...

„ამერი“. ქაჩაზია (ლ. ნადირაშვილი 46), ელბაძე (დიდავა 46), დავითნიძე, კაკაშვილი, დეკანოზიძე (ა. ალაიძე 46), სილაგავა (შალა-

მბერიძე 46), ბოლქვაძე (ხუციძე 63), ლობჯიანიძე (მესხი 46), ტატანაშვილი (ხარაძე 58; ჩიმაკაძე 79), რ. გოციურიძე (ს. დავითაშვილი 46).

„სიმურგის“ ჩოპიკი (მოზინოვი 15), სტაროსტაკი, მალიგინი, ლაპკო, ე. მამედოვი, კუნდელი, მაზია-რი, გუსეინოვი, ომაროვი, ვრეზინი-უკო, კარური.

მეორე ტაიმი შეცვალა შევიდნენ: საიალოვი, ჯალოლოვი, ნასიბოვი, ისაიევი, რ. მამედოვი, ლიჩინი, მურატოვი, ფურთუხია.

შეამჩნევდით, „სიმურგის“ შემადგენლობაში მეორე ტაიმი ქართველი ფეხბურთელიც გამოჩნდა — მერანელი თემურ ფურთუხია. ის გუნდში გასინჯვაზე და თუ მწვრთნელებს თავს მოაწონებს, გუნდს შეკრების დასრულებისთანავე აზერბაიჯანშიც გაჰყვება.

და ერთიც გუშინ „ამერის“ თავ-კაც გორგი ჩიხრაძეს დაბადების დღე ჰქონდა, რასაც სარბიელელების სახელით ვულოცავ!

ბაბა ზალაგბერიძე



თემურ ფურთუხია

შპს "სპორტ-სერვისი" ფოტო



ოლეგ პროტასოვი: კობახიძის ვიზიტებით

დნეპროპეტროვსკის „დნეპროსა“ და ქართველ ფეხბურთელ სანდრო კობახიძეს შორის კონტრაქტის გაფორმებას წინ თითქმის აღარაფერი უდგას. ყოველ შემთხვევაში, გუნდის მთავარი მწვრთნელი ოლეგ პროტასოვი მისით დაინტერესებულია და, როგორც აცხადებს, გუნდშიც დაიტოვებს.

სომა დნეპროპეტროვსკის აეროპორტში დამხვდურ ჟურნალისტებს. კობახიძის „დნეპროსი“ დარჩენა სასიამოვნო ამბავია, თუმცა საწყენი ისაა, რომ ქართულ და უკრაინულ ფეხბურთის შორის უზარმაზარი სხვაობაა. თუ რატომ, ამის განსჯა თქვენთვის მას შემდეგ მიგეინდვია, როცა ჟურნალისტისა და პროტასოვის ერთ კითხვა-პასუხს წაიკითხავთ...

— როგორ გაუძღეს ახალწვეულებმა პირველი შეკრებისთვის დამახასიათებელ დიდ დატვირთვებს?

— არა უშავს, ნორმალურად. თუმცა, მაგალითად, კობახიძემ თქვა, რომ მსგავსი ვარჯიშები ცხოვრებაში არ გაუკეთებია.

მიხეილ შოგოლიანი

კალაქემ პრეზენტაცია ზაფხულში დაგეგმა

პრობრუსანები მალე გაიხსნება



საქართველოს ნაკრების კაპიტანი კახა კალაძე ბანკის დაფუძნებას რომ აპირებს, ადრეც ვწერდით.

დაუდგება — მან შესაბამისი ლიცენზია უკვე აიღო. „პროგრესბანკი“ — ასე ერქმევა ბანკს, რომელშიც კალაძეს 80-პროცენტითი წილი ექნება. დანარჩენი 20 პროცენტის მფლობელი ერთ-ერთი ბრიტანული საფინანსო ჯგუფია.

პარტნიორების ვინაობის გამხელას კალაძე ზაფხულში აპირებს, როდესაც „პროგრესბანკის“ ოფიციალური პრეზენტაცია შედგება...

ბიზნესი კალაძისთვის უცხო არ არის. მას კაპიტალდაბანდება ძირითადად მიღანსა და კიევში აქვს, თუმცა ისიც გეგმობს, რომ ქობულეთის სასტუმრო „კოლხეთი“ მისი საკუთრებაა. უახლოეს მომავალში კი კახას პატრონაჟით საქართველოში გამოვა პოპულარულ ჟურნალ „მაქსის“ ქართული ვერსია.

მიხეილ შოგოლიანი

ბორის ჰაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის თანამშრომლები ვულოცავთ გენერალურ დირექტორს ბატონ ირაქლი მამხარიაშვილს დაბადების დღეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს, ბედნიერებას, წარმატებებს, ენერჯიას და მხნეობას მისი თაოსნობით წამოწყებული ყოველი საქმის ღირსეულად დასაგვირგვინებლად. უფალი ფარავდეს მას და მის ოჯახს!

ბორის ჰაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის თანამშრომლები

ლაშა ჯაპოზია და პოლტავის „ვორსკლა“ — ეს თემა უკრაინელი ჟურნალისტებისთვის ისევ და ისევ საინტერესოა. ჯაკობიას ავადმყოფობის გამო პირველი შეკრება თითქმის გაუცდა და ახლაც ცდილობს, ახალ თანაგუნდელებს დაენიოს. საფრანგეთი, ბელგია, გერმანია — ჯაკობიამ ამ ქვეყნებში გადასვლას უკრაინაში დარჩენა ამჯობინა და ინტერვიუში ამაზეც ლაპარაკობს. და კიდევ: „ვორსკლაში“ გადასვლა მისთვის პირველს თურმე კლაუს ტოპმიოლერს მიულოცია...



კლაუს ტოპმიოლერმა ვორსკლა მომილოცა

ლაშა ჯაპოზია: ეპრობას ისევ უკრაინა პარჩი

— პოლტავეურ კლუბში გადმოსვლის შანსი ჯერ კიდევ ზაფხულში მქონდა. ხარკოვის „მეტალისტთან“ კონტრაქტი მიმთავრებოდა და სხვაგან გადასვლაზე ფიქრი დავიწყე. „ვორსკლას“ პრეზიდენტი ოლეგ ბაბაევი დამიკავშირდა. არ დავშალავ, კარიერის გაგრძელების სხვა ვარიანტებიც მქონდა. შემძღო წავსულიყავი საფრანგეთში, ბელგიაში, გერმანიის მეორე ბუნდესლიგის „კაიზერსლაუტერნში“, მაგრამ უკრაინაში უკვე საკმაო ხანია, ვთამაშობ და აქაურობას შევეჩვიე. გარდა ამისა, ბატონი ბაბაევიც ყველაზე აქტიური იყო მოლაპარაკებისას — კარგი პირობები შემომთავაზეს.

— ჰავლოვი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ფიზიკურ მომზადებას. დღეებდელ ფეხბურთში ამის გარეშე ვერაფერს მიაღწევ. მარკვეიჩი კი უფრო ტაქტიკოსია, თუმცა არა მგონია, ამის ნაკლებობას ჰავლოვი განიცდიდეს...

— ავადმყოფობის გამო, გუნდის პირველი შეკრება, ფაქტობრივად, გაგიცდა. ახლა როგორ გრძობთ თავს?

— ძალიან მწყინს, რომ პირველი შეკრება გამოვტოვე. ახლა ძნელია ვარჯიშების მკაცრ რეჟიმში ჩართვა, მაგრამ პროფესიონალი ფეხბურთელი არ უნდა წუწუნებდეს — „აკვირე“ და დავეწვი.

— ერთი შეხედვით, რა არ ჰყოფნის „ვორსკლას“ უკეთესი შედეგის საჩვენებლად?

— ჩემი აზრით, კლასი. დიდი სხვაობაა ლიდერ გუნდებსა და იმათ შორის, რომლებიც წლიდან-წლამდე უმადლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებას ცდილობენ. საერთო სურათზე მაქვს საუბარი. ბოლო წლებში უკრაინის ჩემპიონატის პოპულარობის გაზრდის შედეგად, წამყვან კლუბებში ლუკარელი, კასტილიო, დიაკატე, ბანგურა და სხვა მაღალი დონის ფეხბურთელები გამოჩნდნენ. მართალია, ეს შეჯიბრების საერთო დონეს ზრდის, მაგრამ ამავედროულად, უფრო დაბალი რანგის კლუბებს არაფერი დარჩენიათ, გარდა იმისა, რომ შეძლებისდაგვარად დაედევნონ წამყვან კლუბებს.

— კარიერის რომელი პერიოდის გახსენება გსიამოვნებს?

— ყოველგვარი დაფიქრების გარეშე ვიტყვი, რომ ბელგიურ „სტანდარდში“ გატარებული პერიოდი ჩემთვის დაუვიწყარია. 16 წლისა გადავედი ამ კლუბის აკადემიაში, ორი წლის შემდეგ კი ძირითად გუნდში მქონდა დებიუტი. იქ ისეთი ფეხბურთელების გვერდით მომიწია თამაში, როგორებიც მძევი მპენზები არიან. ჩემი ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარი იობო კი დღეს „ივერტონში“ თამაშობს.

კრების კაპიტან კახა კალაძესთან, შოთა არველაძესთან, მიხეილ აშვეთიასთან და სხვებთან ერთად ვარსკლავურ წრეში ყოფნა ბევრს ნიშნავს. ვისთან უფრო გაქვს ურთიერთობა?

— უკრაინაში გიორგი დემეტრაძესთან და ოთარ მარცვალაძესთან ვმეგობრობ. თბილი ურთიერთობა მაქვს კახასთანაც, თავისუფალ დროს შემძღვია მასთან მილანში ჩავფრინდე, ის ყოველთვის სიხარულით მასპინძლობს თავის მეგობრებს. ბოლოს კახასთან ერთად ვისადაილე მის რესტორანში, რომელიც იტალიაში ერთ-ერთი საუკეთესოა. იქ სადამოებით ბევრი ცნობილი ადამიანი იკრიბება: პოლიტიკოსები, მსახიობები და, რა თქმა უნდა, ფეხბურთელები. 6 თებერვალს ჩვენს ნაკრებს ლატვიასთან ამხანაგური მატჩი ელის. თუ გამოიმძახებენ დამატებითი საშუალება მომეცება, ყველას შევხვდე. ხშირად ესაუბრობთ კლაუს ტოპმიოლერთან — ის ჩემი საქმეებით ინტერესდება. სხვათა შორის, ტოპმიოლერი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც „ვორსკლასთან“ კონტრაქტის გაფორმება მომილოცა, ბოლო პერიოდში „მეტალისტში“ თამაში ხომ იშვიათად მიწვევდა... თუმცა პოლტავაშიც მომიწევს ძირითად შემადგენლობაში მონაწილეობაზე პრეტენზიის დამტკიცება.

— რისი მიღწევა გსურს „ვორსკლასთან“ ერთად?

— უკვე ცხადია, რომ პირველივე წელს უფასო თასზე ვერ ვითამაშებთ. მაგრამ, ჩემი აზრით, ტყუილად არ მოიწვევდნენ გუნდში კავლოვს, რომელსაც კარგი მწვრთნელის სახელი აქვს ცოტაც და ყველაფერი გამოვა. მომავალი წლიდან უფრო დიდი ამოცანების გადასატარებლად ვიბრძობებ. გულშემატკივრები უნდა გავახაროთ, რათა მათ უფრო მრავლად დაიწონ სტადიონზე სიარული. ბოლოს და ბოლოს, უნდა შევწყვიტოთ დაცვაზე ორიენტირებული ფეხბურთის თამაში — ამას მომავალი არ აქვს. ამიტომ ვარ მე აქ!



სერია A-ს მე-20 ტურში „ინტერმა“, როგორც იქნა და, ვერ მოიგო. „ნერაძურის“ ფაქტობრივად ყველა მთავარმა მდევარმა კი გამარჯვება მოიპოვა და მილანელებთან სხვაობა შეამცირა... დანარჩენს დანვრილებით channel4.com-ის ტრადიციული ჩანახატიდან შეიტყობთ.



პატომ დუბლი შეყვარებულს მიუძღვნა

არჩილ ბიჭვინთა

რკინის მანძი

გამარჯვებული
რობერტო მანინი (ინტერი) — იგი 2007 წლის საუკეთესო მწვრთნელის კანდიდატა შორის არ დაასახელეს. თუმცა რკინის „მანჩო“ საათზე მეტი „უდინეზესთან“ გუნდი ათი კაცით ათამაშა და თუ ის მატჩი ვინმეს უნდა მოეგო, ეს „ინტერი“ იყო. ასე რომ, მანინისადმი ქლიკური მიღობა უკვე აღარ არის მისაღები.
ალეშანდრე პატო (მილანი) — შესაძლოა, მან უამრავი შანსი გაანია, მაგრამ „კვენოსთან“ დუბლი კი მიითვალა და სხვა რა უნდა მოთხოვო 18 წლის ბიჭს? „იხვი“ „როსონერის“ ფანების გაოცებას აგრძელებს.
დავიდე ბალარდინი (კალიარი) — ვულცავთ სერია A-ში პირველ

გამარჯვებას. სარდინიელებს 2 დეკემბრის მერე ქულა არ მოეპოვებინათ და 90-ე წუთამდე „ნაპოლისთან“ აგებდნენ, მაგრამ კუნძულებმა ბოლო წამებზე ორი გოლი შეაგდეს. ამაში მათი ახალი მწვრთნელის დამსახურებაც უდავოა.
დამარცხებული
როლანდო ბიანკის (ლაციო) — ოდესმე ვინმეს ამაზე უარესი დებიუტი ჰქონია? „მანჩესტერ სიტიდან“ ნაყიდი ფორვარდი მე-60 წუთზე შევიდა მინდორზე და ბურთს მხოლოდ ორჯერ შეეხო, სამაგიეროდ, ორი ყვითელი ბარათის მიღება მოახერხა და 65-ე წუთზე გააძევეს.
სეზარ აპარესილო (ინტერი) — ალბათ, მართლა სულელი უნდა იყო,

რომ დაახლოებით 30 წაშში ორი ყვითელი ბარათი მიიღო. სეზარმა მართლაც უაზრო და გუნდისთვის საზიანო საქციელი ჩაიდინა.
რეჟინალდო (პარმა) — ბრაზილიელი საოცრად დაეჩვია თითქმის ასპროცენტინი მომენტების გაფუჭებას. მან „ინტერთან“ მატჩის მერე „კატანისთანაც“ გააცუდა შანსები. ალბათ, როცა კრისტიანო ლუკარელი ფორმაში ჩადგება, რეჟინალდოს აღარავინ ათამაშებს.
გოლეები
დავიდე ტრეზევე (ფიორენტინა) — მართლაც ულამაზესი გოლი გამოვიდა, რაფაელე პალაძინიმ მშვენიერი დრიბლინგის მერე ტრეზევეს პასი გაუკეთა, ფრანგმა ბურთი გაატარა და საჯაროობაში შევარდა,

ალესანდრო დელ პიეროს პასმაც არ დააყოვნა და ტრეზევემაც ზუსტად დაარტყა.
ანტონიო კასანო (სამპდორია) — ამ გოლში ფორვარდის ყველა საუკეთესო თვისება გამოჩნდა. მან ლუკა როსეტინის შეცდომით ისარგებლა და მშვენივრად დაარტყა.
კლაუდიო რივალტა (ატალანტა) — ნახევარმცველი ყოველთვის შეიმჩნეოდა შეტევებში აქტიურობით, მაგრამ თუ ასეთი ნიჭიერი იყო, ალბათ ცოტას თუ ეგონა. მან ფრანკო ბრიენცას დაასწრო და ცაციათი ჩინებულად გაისროლა.
რიცხვები
„უდინეზეს“ ტაბუ: ორი წელია, „ინტერი“ „უდინეზეს“ ვერ უგებს. „ნერაძურიმ“ უდინელთა წაქცევა

ვერც მიმდინარე და ვერც წინა, სარეკორდო სეზონში შეძლო. ოთხივე შეხვედრა ფრედ დასრულდა. ამ პერიოდში „ინტერმა“ 58 მატჩი ითამაშა, რომელთაგანაც 45 მოიგო, 12-ჯერ ფრედ ითამაშა და მხოლოდ ერთხელ წააგო.
სარდინიული წარმატება: „კალიარი“ 2 დეკემბერს „ლივორნოსთან“ უგოლო ფრის მერე ქულა არ აეღო და ნავსი „ნაპოლისთან“ გატეხა.
წითელი საშინელება: ეს იყო უცნაური ტური, რომელშიც ყველაზე ნაკლები, 17 გოლი გავიდა, აქედან პირველ ტაიმში მხოლოდ სამი. ამავე ტურში ექვსმა ფეხბურთელმა მიიღო წითელი ბარათი, მაგრამ არცერთი პენალტი არ დანიშნულა.

გიორგი გაბაბაძე

რომაულ-ტურინული როქი

რომორც იცით, „იუვენტუსმა“ ჟან-ალენ ბუმსონგი „ლიონს“ მიჰყიდა, მის სანაცვლოდ კი ტურინელებმა გულიელმო სტენდარდო მოიყვანეს. „ბებერმა ქალბატონმა“ იგი სეზონის ბოლომდე ინათხოვრა, გამოსყიდვის პერსპექტივით. თუ „იუვენს“ მისი შეძენა მოუნდება, ეს სიამოვნება დაახლოებით 10 მილიონი ევრო დაუჯდება.
 პარალელურად, 26 წლის სტენდარდოს სანაცვლოდ „ლაციომ“ 21 წლის რუმინელი ვარსკვლავი სტეფან რადუ იყიდა. იგი ბუქარესტის „დინამოში“ თამაშობდა და მრავალი მსურველი ჰყავდა.
 „ჩვენ მივალწით შეთანხმებას, რომელიც ყველას აკმაყოფილებს. და თუ სასწაული არ მოხდა, ტრანსფერი უახლოეს ხანს ოფიციალურად გაფორმდება. რადუ ნიჭიერი ფეხბურთელია და „ლაციო“ დიდ იმედებს ამყარებს. შემიძლია ვითხრათ, რომ ეს არის ახალი კრისტიან კიუუ“ — თქვა რადუს აგენტმა ვიქტორ ბეკალიმ.

კოკი კანდელაკი



ბადე ბადეუი

მეორე ბუნდესლიგის „ჰადერბორნის“ მეკარე, 37 წლის ალექსანდერ ბადე ოთხი თვით „დორტმუნდში“ გადავიდა. დორტმუნდელებს მთავარი გოლკიპერი რომან ვაიდენფელერი დაუშავდა და მარკ ციგლერის ამარა დარჩნენ. გუნდს მეორე მეკარე სჭირდებოდა და ჰადერბორნელ ვეტერანს მიაგნეს, რომელსაც „ჰამბურგში“ და „კოლნშიც“ უთამაშია. გერმანიის თასზე „დორტმუნდი“ დღეს „ვერდერს“ ეთამაშება და კარში ალბათ ბადე ჩადგება.

უტუტბარტის უიკლოკი

გერმანიის ჩემპიონმა „შტუტგარტმა“ რეგიონალური „როიტლინგენიდან“ 19 წლის ფორვარდი სვენ შიპლოკი იყიდა. რამდენიმე დღის წინ ამ გუნდებმა ამხანაგურად ითამაშეს და შტუტგარტელთა მწვრთნელს არმინ ფეეს ბიჭის ფეხბურთი მოეწონა. ამ სეზონის 19 მატჩში 8 გოლის გამაზნა თაედამსხმელმა ბუნდესლიგის კლუბთან სამწელიწადნახევრიანი კონტრაქტი გააფორმა.

ფინეთი ბაქსტერს ჩააბარეს

54 წლის ინგლისელი სტიუარტ ბაქსტერი ფინეთის ნაკრების მწვრთნელად დანიშნეს. „მას დიდი გამოცდილება აქვს და ვფიქრობთ, რომ სწორი არჩევანი გავაკეთეთ“ — თქვა ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარემ პეკა ჰამალაინენმა. ბაქსტერის სამწვრთნელო კარიერა 1985 წელს „იორებოროში“ დაიწყო, მერე კი „ჰალმსტადი“, „ლინი“, აიკი, „ბაზელი“ და „ჰელსინგებორგი“ მოიარა. მას ინგლისის 19-წლამდელთა და სამხრეთ აფრიკის ნაკრებებშიც უმუშავია.

ნიილანდი ფულს დანებდა


„გრონიგენის“ შვედი ნახევარმცველი რასმუს ლინდგრენი „აიაქსმა“ იყიდა. ამსტერდამულმა კლუბმა 25 წლის ფეხბურთელში 2,5 მილიონი ევრო გადაიხადა. ცოტა ხნის წინ „აიაქსში“ გრონიგენელი მცველი ბრუნო სილვაკ გადავიდა. „რასმუსენი ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი ფეხბურთელი იყო, მაგრამ ისეთი თანხა შემოგვთავაზეს, რომ უარს ვერ ვიტყოდით“ — განაცხადა „გრონიგენის“ დირექტორმა ჰანს ნიილანდმა.

მას ხუციშვილი



ნამდვილი ფერიცვალება განიცადა ვიცე-ჩემპიონმა თბილისის „ავიამშენმა“, რომელმაც მიმდინარე სეზონი უნიათოდ დაიწყო და ახალი წლის დადგომასთან ერთად აბობოქრდა. ლევან მოსევილის გუნდმა ეროვნულ ჩემპიონატში ბოლოს დაიწყო მოგებები, მანამდე კი ერთი ხანობა ბოლო ადგილზე იყო. „ავიამშენი“ რომ მოუმატებდა, საკამათო არ იყო, თუმცა ორ კვირაში ეს გუნდი თუ ორ ტიტულს მოიპოვებდა, ბევრი არ ელოდა. ჯერ იყო და, „ავიატორებმა“ რუსთაველი გამართული ქორქია-საკანდელიძის მემორიალური ტურნირი მოიგეს, რასაც კვირის თავზე საქართველოს თასიც მოაყოლეს და ბოლო ხანს შელახული იმიჯი გვარიანად გაიუმჯობესეს. რაც ყველაზე საინტერესოა, „ავიამშენის“ ხელმძღვანელობა თვლის, რომ გუნდი იმის ნახევარს თამაშობს, რაც რეალურად შეუძლია. გუნდს ლევან მოსევილიმ შევსებით და მიღწეულ ნარმატებებთან ერთად სამომავლო გეგმებზეც ვესაუბრეთ

გუნდის მწვანე ფერის ფოტო



თასები პანტერასთვის ავიატორებმა მფრთხილი გაახარეს და სონსორი დაასაჩუქრეს

— ჩემპიონატის წარმატებულ დაწყების შემდეგ ბევრისთვის ალბათ მოულოდნელი იყო „ავიამშენის“ ბოლოდროინდელი წარმატებები...
— ვიცოდით, რომ ქორქია-საკანდელიძის თასის მოგება გავეციდნებოდა. ტურნირს რუსთაველიძის თასი მოგება და „ენერჯი-ინვესტს“ ამით დიდი უპირატესობა ჰქონდა, თუმცა ჩვენც ჩვენი პლუსები გვქონდა, რაც საბოლოო ჯამში კარგად გამოვიყენეთ.
— რის ხარჯზე შეძელით გამარჯვების მოპოვება?
— „ავიამშენს“ აშკარა უპირატესობა ჰქონდა სიმაღლეში, რაც გამოვიყენეთ კიდევ, მაგრამ ეს არ ყოფილა წარმატების მთავარი მიზეზი. ჩვენი მიზანი იყო რუსთაველიძის თასის დაკარგვინებინა. ფინალში საკმაოდ კარგად ვითამაშეთ. პირველ ტაიმში მეტოქეს მხოლოდ 30 ქულა ჩავაგდებინეთ, რაც დაცვის დამსახურებაა.
— სამაგიეროდ, მეორე ტაიმში განერვიულათ „ენერჯი-ინვესტმა“ და წაგებას ბევრზე გადაურჩით...
— იყო მომენტი, როცა ჩვენ გამარჯვება საეჭვო გახდა. რუსთაველები დაგვეწვივნენ და წინაც გავიდნენ, მაგრამ ისევ და ისევ დაცვის ხარჯზე ვიმარჯვეთ. პლასიდო როდრეგო ფარკემ ხელები რომ გაშალა, აღარავინ გაახარა.
— წელიწადზე მეტია, „ენერჯი-

ინვესტს“ რუსთაველი არ წაგო. მაშინაც „ავიამშენმა“ დაამარცხა და მას მერე სულ ელოდით მორიგ წარმატებას...
— ველოდი, იმიტომ რომ ჩვენი გუნდი „ენერჯი-ინვესტს“ შემადგენლობით არ ჩამორჩება. თანაც რუსთაველები იმას თამაშობენ, რაც შეუძლიათ, ჩვენ კი გაცილებით მეტი რეზერვი გვაქვს. დღეს „ავიამშენი“ თამაშობს იმის ნახევარს, რაც რეალურად შეუძლია.
— რუსთაველი გამარჯვების შემდეგ ალბათ მეტი იმედით შეხვდით თასის გათამაშებას, სადაც ფინალში თსუ-ს მოუვით...
— შეიძლება ვინმე თქვას, თსუ-მ „ენერჯი-ინვესტს“ რომ გამოაგლო გათამაშებიდან, ამით ჩვენ გავიწვია სამსახური, რაც არაა მართალი. სტუდენტები პირველ რიგში საკუთარ გუნდს დაეხმარნენ, რომელიც საკმაოდ პერსპექტიულია და კარგი მუშაობის შემთხვევაში წარმატებებს მიაღწევს. რუსთაველებმა იმხელა ძალები შეაღიეს თსუ-სთან მატჩს, ფინალში რომც გასულიყვნენ, საეჭვოა, გადაღილებს ჩვენი გუნდი დამარცხებინათ. თანაც „ავიამშენს“ დამატებითი მოტივაცია ჰქონდა და არა მგონია, თასი სხვისთვის დაეთმო. ჩვენი სპონსორის, თბილისის საავიაციო ქარხნის დირექტორის პანტიკო თორდიას დაბადების დღე იყო და წაგების უფლება არ გვქონდა. მოგებული თასები „პანტერას“ მიუძღვნენ — ბატონ პანტიკოს მეგობრულად ყველა ასე მიმართავს.
— თქვენი სპონსორისთვის მთავარი ტიტულის, საქართველოს ჩემპიონობის ჩუქებას არ გვემავთ?
— ვფიქრობ, რომ ჩემპიონობა სავსებით რეალურია. ჩვენ არავისზე ნაკლები შანსი არ გვაქვს და მთა-


ვარი ის იქნება, პლეი ოფისთვის როგორ ფორმაში ვიქნებით. ახლა ზუსტად უნდა განვსაზღვროთ საპლეიოფო სტრატეგია, რაშიც იმას ვგულისხმობ, რომელი ადგილის დაკავება გვადგევს ხელს რეგულარულ ჩემპიონატში. ჯერ არ ვიცით, რა ვაქვს — ენერჯი-ინვესტს“ ნახევარფინალშივე შევხვდეთ, თუ ფინალში დავეჭვდით.
— ჯერ კიდევ არის დრო და ხომ არ აპირებთ მოთამაშეების დამატებას?
— არაა გამორიცხული, რომ გავძლიერდეთ, მაგრამ ჯერ კონკრეტულად ვერაფერს ვეტყვით. ჩვენ გვინდოდა თსუ-ს გამოამაშებელ მიხილ ჩიტაშვილის დამატება, მაგრამ რუსთაველებმა დაგვასწრეს.
— თქვენგან ახლახან წასული დავით ბარბაქაძე წარმატებით თამაშობს თსუ-ში. ხომ არ ნანობთ მის გაშვებას?
— ჩვენ ის არ გავიშვია, დათომ თავისით გამოთქვა სხვა გუნდში გადასვლის სურვილი. საქმე ისაა, რომ „ავიამშენს“ ტანმალალი კალათბურთელები არ უჭირს და ბარბაქაძეს ძალაუნებურად შუა ხაზში, ფრთის პოზიციაზე უწევდა თამაში. არადა, ის უფრო ეფექტური მაშინაა, როცა თავდამსხმელად დგას და ამის შანსი დავითს თსუ-ში მიეცა.
— მომავალ შაბათს სუპერლიგა განახლდება და როგორი მომზადებულები ხვდებით?
— ცოტა ცივ დარბაზში გვიწევს ვარჯიში და აქამდე მეტ ყურადღებას ფიზიომზადებას ვუთმობდით. ნელ-ნელა ბურთით ვარჯიშსაც შევუდგებით და ეს ძალიან ეტყობა „ავიამშენის“ თამაშის ხარისხს.

ირაკლი პირტაია

- 27 იანვარი
- პორტლენდი 94:93 ატლანტა**
პორტლენდი: ბლეიკი (2), როი (24), ვე-ბსტერი (5), ოლდრიჯი (16), პრეზბი-ლა (2); აუტლოო (15), ფრაი (14), ჯონსი (10), როდრიგისი (4), ჯეკი (2)
ატლანტა: ე. ჯონსონი (12 ქულა, 11 პასი), ჯ. ჯონსონი (19), მ. უილიამსი (17), სმიტი (17), პორფორდი (9 ქულა, 12 მოხსნა); **ფარულია** (15 წუთი, 8 ქულა, 4 მოხსნა, 1 პასი), ჩილდრესი (5), ლოუ (4), ლუ (2), ვესტი
- ლიუიზიანი 95:98 კლივლენდი**
ლიუიზიანი: ბრაიანტი (33 ქულა, 12 მოხსნა, 6 პასი), ოდომი (14)
კლივლენდი: ჯეიმსი (41), ილგუსკასი (16 ქულა, 11 მოხსნა), პიუზი (16)
- ორლანდო 96:93 პოსტონი**
ორლანდო: თურქოლუ (27), პოვარდი (18 ქულა, 16 მოხსნა, 5 დაფარება), ლუსი (15)
პოსტონი: პირსი (24), ალენი (17)
- სიეტლი 101:103 საკრამენტო**
სიეტლი: დურანტი (19), შერბიაკი (16)
საკრამენტო: მარტინი (26), ბიბი (13)
- ბ. სტიმონი 106:104 ნიუ იორკი**
ბ. სტიმონი: ჯეკსონი (25), ელისი (24), დევისი (22), ბიედრინსი (11 ქულა, 26 მოხსნა)
ნიუ იორკი: რობინსონი (22), კროუფორდი (21), კარი (17), რიჩარდსონი (14)
- ჩიკაგო 77:88 ფინიქსი**
ჩიკაგო: მაინი (31)
ფინიქსი: სტუდემიერი (24), მერიონი (15 ქულა, 11 მოხსნა, 6 ჩაჭრა), ნეში (14)
მილუოკი 105:102 ვაშინგტონი
მილუოკი: უილიამსი (25), ბელი (22), ბოგუტი (18 ქულა, 15 მოხსნა, 6 პასი)
ვაშინგტონი: ბატლერი (40), ჯემპსონი (21)
- მინესოტა 98:95 ნიუ ჯერსი**
მინესოტა: ჯეფერსონი (40 ქულა, 19 მოხსნა), მაკკანტსი (16)
ნიუ ჯერსი: რიჩარდსონი (37), კარტერი (25), კიდი (11)
- დალასი 90:85 დენვერი**
დალასი: ნოვიცი (32 ქულა, 11 მოხსნა), პოვარდი (20), ტერი (19)
დენვერი: აივერსონი (23), კარტერი (20)
- ჰიუსტონი 89:97 იუტა**
ჰიუსტონი: მაკგრედი (21), სკოლა (18)
იუტა: უილიამსი (17 ქულა, 12 პასი), კორლენცი (17), ბუზერი (17)

გაიგანებია. არ ამბობს, მაგრამ წლეულს ის უთუოდ უმიხეხებს სეზონის უძვირფასესი მოთამაშის წოდებას და რეგულარული ჩემპიონატის პირველი ნახევრის დასრულების შემდეგ სწორედ ის გახლავთ ამ პრესტიჟული ტიტულის მთავარი პრეტენდენტი.
27 იანვარს ლებრონის „კლივლენდი“ მის კონკურენტ კობი ბრაიანტის „ლეიკერსს“ დაეჯახა. ნბა-ს ორ საუკეთესო მოთამაშეს და მეტეს ერთმანეთთან დაპირისპირებისთვის თავი არ აურიდებიათ და დუელიც შედგა, რომელიც ჯემსმა მოიგო. მან 41 ქულა, 9 მოხსნა, 4 პასი და 2 ჩაჭრა გააკეთა ბრაიანტის 33 ქულის, 12 მოხსნის, 6 პასისა და 1 დაფარების წილ. მთავარი კი ისაა, რომ ბოლო მეოთხედში, როცა მოედანზე ვნებები დულდა, მან 14 ქულა მოიხვეჭა, ლეიკერსელმა კი 9 და ლოს ანჯელესში მოაგებინა „კავალერიას“.
მასპინძლებს ჰქონდათ ამ დაძაბული თამაშის გადარჩენის შანსი, 95:98 ჩამორჩენილებს 9 წამი რჩებოდათ სამქულიანის სროლის მოსაზღვრებლად, მაგრამ კლივლენდლებმა იოლად გაშიფრეს მათი ჩანაფიქრი, ბრაიანტს ხელ-ფეხი შეუბორკეს, სხვა ლეიკერსელებმა კი უბრალოდ, ვერ გაბედეს სროლა და დროც მიილია.
მორიგი მარცხი იწვნია „ბოსტონმა“, რომელმაც დამტკრეულ კევინ გარნეტთან ერთად თავდაჯერებაც დაკარგა და საკმაოდ მძლავრ აღმოსავლელთან, „ორლანდოსთან“ დათმო.
კოლდენსტიტელმა ანდრის ბიედრინსმა „ნიუ იორკს“ 26 ბურთი მოუხსნა და მიმდინარე სეზონის საყოველთაო რეკორდი დაისაკუთრა. ძველი რეკორდი, 24 მოხსნა, დენვერელ მარკუს კემპის და ფინიქსელ შონ მერიონს ეკუთვნოდათ. „გლდენ სტიტის“ ლატვიელმა ცენტრმა თავი იმიტომ გამოიღო, რომ მწვრთნელმა დონ ნელსონმა მანამდე განაცხადა, ფარზე ვერ ვვარჯივართ და გუნდში ბებერი თავისუფალი აგენტი კრის ვებერი უნდა მოვიყვანოთ.
რაც შეეხება ზაზა ფაჩულას „ტლანტას“, დასავლეთის სანაპიროზე გასვლით ტურნეზე მყოფმა ჯორჯიელებმა პორტლენდში იქაურ „თრეილ ბლეიზერსთან“ მოსაგები თამაში დათმეს. ისინი 20 ქულას იგებდნენ, მაგრამ მეორე ტაიმი და განსაკუთრებით მეოთხე მეოთხედი მთლიანად ჩააფლავეს.


კობა ყორშია



ლებრონ ჯეიმსი

მოეზადება, ფსიქოლოგია და ღვთის ნება ზაზა კედელაშვილი ოლიმპიურ ჩემპიონობას უმიზნებს

თბილისის მსოფლიოს თასზე საქართველოს ძიუდოსტთა ნაკრებმა შესანიშნავად იასპარეზა, სამი ოქროს, ერთი ვერცხლის და სამი ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა და გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დაიკავა. ქართულ ყულაბაში თავისი წილი ოქროს ორგზის ევროპის ჩემპიონმა ზაზა კედელაშვილმაც (66 კგ) ჩააგდო, ვინც ტურნირამდე საპეკინო ლიცენზიის გარეშე იყო. ზაზამ თბილისის თასზე მესამედ მოპოვებული გამარჯვებით ჩინეთში გამგზავრებაც გაინაღდა და ახლა დამშვიდებული, წინასწარგანერილი გეგმის მიხედვით განაგრძობს მზადებას... ზაზა გუშინ გვესაუბრა, მოგებული თბილისის თასი შეაფასა და მოახლოებული ოლიმპიადის ამბებზეც გვიამბო



— თბილისის მსოფლიოს თასი უკვე მესამედ მოვიგე, თუმც ეს წინამორბედებზე ბევრად რთული იყო. ამ ტურნირს ასეთი მასშტაბები აქამდე არ ჰქონია და უამრავი უძლიერესი ძიუდოსტი ჩამოვიდა, თან მე გაორმაგებული მოტივაციით მიწვევა ტაშამზე გასვლა, ლიცენზიაც აუცილებლად უნდა მომეპოვებინა. ისიც სათქმელია, რომ ეს ქართველი გულშემატკივრის თვალწინ ხდებოდა. ადვილი არ არის ათი ათასი თანამემამულის დასახანად გამოსვლა. საერთოდ, როცა თბილისის თასზე ვჭიდაობ, თავიდანვე ყოველთვის უძლიერესი ძიუდოსტები მხედებიან. ახლაც ასე მოხდა. პირველივე წრეში სერბ მიალოკოვიჩს გადავეყარე, ვინც 2006 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალში მყავდა დამარცხებული. მაშინ ევროპირველობა სერბეთში ტარდებოდა და ძალიან გამიჭირდა, დამატებით დროში ვაკვობე. ახლაც ვთვლი, რომ მასთან დაპირისპირება ჩემთვის ყველაზე რთული იყო. ცალკე ნერეიულობაც დაემატა, რადგან უკან დასხვევი გზა მოჭრილი მქონდა, ლიცენზია უჭკველად უნდა აეღო.

— დანარჩენ ორთაბრძოლებზე რას იტყვი, ტიტულიანი მეტოქე მერეც ბევრი გყავდა...

— ნახევარფინალში ფრანგ ბერ-

შელოსთან სიტუაციას ვაკონტროლებდი, თუმც ის საკმაოდ ძლიერი მოწინააღმდეგე გამოდგა. ფინალში ფრანგ დარბელესთანაც დაძაბული შეხვედრა გამომივიდა. ის ძალიან გამოცდილი და ძლიერი სპორტსმენია, ევროპის სამეულში მუდმივად ტრიალებს და მასთან ორჯერ მქონდა წაგებული, ერთხელ კი ევროპის ჩემპიონატის ფინალში მოუგე. ახლა ანგარიში 2:2 გახდა და იმედი მაქვს, მომდევნო დაჯილდების მერე წინ გავალ. მთლიანობაში თბილისის მსოფლიოს თასზე ჩემი გამოსვლით კმაყოფილი ვარ და მშვიდად გავაგრძელებ მზადებას.

— 66 კგ-ში იაპონელი ოლიმპიური ჩემპიონი უშიჩიბა მონაწილეობდა, თუმც მან გაცემული ავაზსები ვერ გაამართლა და ტურნირს ნაადრევად გამოეთიშა. ამ ფაქტმა გავახარა თუ გერჩინა, მასთან შეხვედრა შემდგარიყო?

— უშიჩიბას არ შეხვედრივარ და მასთან დაპირისპირება ძალიან საინტერესო გამოვიდოდა, საკუთარ ძალებს კიდევ ერთხელ გამოვცდიდი. იაპონელი ძალიან ძლიერია და მასთან იოლი გასვლა ნამდვილად არ მქონდა. ამიტომაც ვჯობს, რომ წავაო და აღარ შემხვდა.

— ამ გამარჯვებით ლიცენზია ფაქტობრივად გაინაღდე, თუმც ამის გაკეთება შარშან ბრაზილი-

აში მსოფლიოს ჩემპიონატზე შეგეძლო, მაგრამ მაშინ ხელი მოგეცარა. დღევანდელი გადასახედიდან რას შეგიძლია მიაწერო ბრაზილიაში ჩაგარდნა?

— ალალად რომ ვთქვა, მაშინ სათანადოდ ვერ მოვემზადე. ეს ჩემი უდისციპლინობის ბრალიც იყო. მოგებული ევროპის ჩემპიონატის მერე მსოფლიოს ჩემპიონატზე გადაწყობა ვერ მოვახერხე.

— ოლიმპიადამდე დიდი დროც აღარ რჩება, რომელ კომპონენტში გაქვს მოსამატებელი და შენ უძლიერეს მხარედ რას მიიჩნევ?

— ჩემი მთავარი პრობლემა წონაა. ახლაც თბილისის ტურნირის წინ 7 კილო დავიკელი, რაც უდიდესი ენერჯის დახარჯვას და ფსიქოლოგიურ გამძლეობას მოითხოვს. წინა დღით ზედმეტი 900 გრამი მქონდა და სამჯერ ვივარჯიშე, ოფლი არ გამომდიოდა. უკვე წარმოუდგენელია ყველა ტურნირის წინ ამხელა წონის დაკლება. უბრალოდ, ამას ფიზიკურად ვეღარ შევძლებ. ამიტომაც მომდევნო ტურნირებზე ეს პრობლემა აღარ მექნება, რადგან 73 კგ-ში გამოვალ. წონის დაკლება ორჯერ მომიწევს, ევროპის ჩემპიონატის წინ და ოლიმპიადამდე. თითქმის გადაწყვეტილი მაქვს, რომ ოლიმპიადის მერე 73 კგ-ში გადავინაცვლო. ასევე

პრობლემა მაქვს სუნთქვაზე, რაც ისევე იმის ბრალია, რომ წონის დაგება სისტემატურად მიწვევს. არადა, ეს პრობლემები უნდა მოვიშორო, რომ სუნთქვამ გამუდმებით აგრესიული ჭიდაობის საშუალება მომცეს. ძლიერი თვისებები ხომ მუდმივი შეტევა და აგრესიაა ფიზიკური სიძლიერის ხარჯზე. ამ ეტაპზე შესაძლებლობების 70 პროცენტი გამოვავლინე. არადა, ბევრად მეტი შემიძლია. ნაბიჯ-ნაბიჯ ფორმის პიკს მივალწვე.

— ლიცენზიის მოპოვების მერე შეგიძლია, მშვიდად მოემზადო ოლიმპიადისთვის, დაჩრჩილ დროს როგორ გამოიყენებ?

— ყველაფერს გავაკეთებ, რომ ოლიმპიადაზე კარგ ფორმაში ვიყო. მანამდე ბევრიც აღარ დარჩა და ყოველი დღე მაქსიმალურად უნდა გამოვიყენო. ჩემი სურვილია, ევროპის ჩემპიონატსაც მზადყოფნაში შევხვედე და მესამედ მოვიგო.

— ოლიმპიადაზე სუსტი მეტოქეები არ იქნებიან, მაგრამ მაინც ვინ მიგაჩნია მთავარ კონკურენტებად. სერბ მიალოკოვიჩზე ვითხარა, უხერხული მეტოქეაო, სხვებზე რას ფიქრობ?

— ეს სერბი სხვებზე ძლიერი ნამდვილად არ არის, უბრალოდ, მასთან ცოტა გამიჭირდა. უფრო იაპონელებს გამოვარჩევ. აქ ოლი-

მპიური ჩემპიონი უშიჩიბა კი ჰყავდათ ჩამოყვანილი, მაგრამ მათი მერე ნომერი ტაკიძოტოც სერიოზული მოწინააღმდეგეა. გამრევოვ ასევე კუბელს, ვინც თბილისში კი ჩამოვიდა, მაგრამ აწონვა ვერ მოასწრო და ისე დარჩა. მაგარი ბიჭები არიან უნგრელი და ფრანგი ძიუდოსტებიც.

— პეკინის ოლიმპიადაზე ალბათ ჩემპიონობას ფიქრობ, რა არის ის მთავარი ფაქტორი, რამაც გამარჯვება უნდა მოგიტანოს?

— ოლიმპიური ჩემპიონობის მოპოვება უდიდესი ძალისხმევა სჭირდება. თითოეულ ნიუანსს დიდი მნიშვნელობა აქვს. ძიუდოს უკვე ყველა ჭიდაობს და თან საკმაოდ კარგადაც. საერთო დონე საგრძნობლად გათანაბრდა და იოლად ვერავის დაჩაგრავ. გამოცდილება არ მაკლია და ეს მომენტი ჩემს პლუსად ჩავთვალთ. ბევრი რამ იქნება დამოკიდებული ფსიქოლოგიურ განწყობაზე და რაც მთავარია, მომზადებაზე. ვინც უკეთეს ფორმაში შეხვედრა ოლიმპიადას, გამარჯვების მეტი შანსიც მას ექნება. იტალიეც ბევრი რამ არის დამოკიდებული. ჩემი მიზანი ჩემპიონობაა და ამისთვის არაფერს დავიშურებ. იმედი, ღვთის ნებით ყველაფერი კარგად იქნება...

ლემსო მისურაძე

აჭარა კლასიკურ საქართველოსას ნახავს

29-30 იანვარს ბათუმში ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებს შორის საქართველოს ჩემპიონატი გაიმართება. გასულ უქმეებზე აჭარელებმა „თავისუფლებასაც“ უმასპინძლეს და ერთდღიანი შესვენების შემდეგ უკვე კლასიკურებს შორის გაირკვევა ჩემპიონ-პრიზორები.

ზღვისპირეთს საქართველოს თითქმის ყველა რეგიონიდან ეწვევიან ფალანგები, დაახლოებით 140 სპორტსმენი და ორი დღის განმავლობაში შვიდ წონით კატეგორიაში გათამაშდება მედლები. შეჯიბრების პირველ დღეს 55, 60, 66, 74 კგ წონით კატეგორიები იჭიდავებენ, ხოლო მეორე დღეს 84, 96 და

მძიმე წონითი კატეგორიები მოამთავრებენ ტურნირს.

ჩემპიონატს გამოტოვებენ ჩვენი სახელიანი ფალანგები. რამაზ ნოზაძე, დავით ბედინაძეს და ბადრი ხასაიას ოლიმპიადის ლიცენზიები უკვე ჯიშები აქვთ და ამიტომ დაისვენებენ. საგარაუდოდ, არც მანუჩარ კვიციანი გამოვა ხალიჩაზე.

55 კგ-ში ევროპის პრიზორი ირაკლი ჭოჭუა და ასევე უხვტიტულიანი ლაშა გოგიტიძე მიიჩნევიან ფავორიტებად; 60 კგ-ში რეზო ლაშხია საგარაუდო პირველკაცი; ლაშა ლომაძე და მუხრან მაჭუტაძე 66 კგ წონით კატეგორიაში არიან ამქრის ყორები; 74 კგ-ში გენადი გოგიტიშვილის და შმაგი გულიაშვი-

ლის ფინალს ვარაუდობენ; 84 კგ-ში ლადო გეგეშიძეს ჩემპიონობა თუ ვინმემ წაართვა, სესხაცია იქნება. 96 კგ-ში რამაზ ნოზაძის არყოფნაში საჩემპიონოდ რამდენიმე სპორტსმენს თანაბარი შანსები აქვს და კონკრეტულად რომელიმეს გამოირჩევა ძნელია. მძიმე წონით კატეგორიას კი რეზო ჭელიძის და გურამ ფერსელიძის ტანდემი გაეშურება საჩემპიონო კვარცხლბეკისკენ.

ბუნებრივია, ზემოთ ნათქვამი მხოლოდ ვარაუდებია და თუ სინამდვილეში რა მოხდება, ბათუმის სპორტის სასახლეში დღეს და ხვალ გამოჩნდება.

ზურაბ მიგრიაული



2007 წლის საუკეთესო სპორტსმენი რამაზ ნოზაძე ბათუმში არ იჭიდავებს

მამას უხვო ხილის მოუნდა:

ოლიმპიური ოქრო და ფედერაციის თასი

მარია შარაპოვამ მანამდე მოგებულ უიმბლდონსა და აშშ-ს ღია პირველობას ავსტრალიური სლემ-ტიტულიც შემატა. რუსმა პრიმამ გასულ ორ კვირაში მელბურნ-პარკზე მართლაც შთამბეჭდავად იჩვენა და უძნელესი ბადის მიუხედავად, ტრიუმფამდე იმდენად დამაჯერებლად იარა, რომ ეჭვი არავის შეუტანია მის სიძლიერეში.

— ახლა რას განიცდით?

— აღფრთოვანებული ვარ. რაც მოხდა, საოცრებაა, არასდროს არ იცი, როდის ავინაზღაურდება ის ტიტული შრომა, რასაც თითოეული ჩოგბურთელი მთელი კარიერის განმავლობაში ეწევა. ამიტომ ამ გამარჯვებისთვის ბედის მადლობელი ვარ.

— ფინალში ძალიან კარგად აწოდებდით. ასე სტაბილური როლისზე ყოფილხართ?

— ვფიქრობ, ლინდსისთან (დევენპორტი) და ჟუსტინთან (ნინი) უკეთესად ვაწოდებდი.

— ეს გამარჯვება ალბათ ერთიორად ფასობს შარშანდელი კატასტროფული ფინალის შემდეგ...

— ალბათ არა. უბრალოდ, გამარჯვებით ძალიან კმაყოფილი ვარ. როცა იმ სლემტიტულს იგებ, რომელიც მანამდე არასდროს მოგივია, ყოველთვის განსაკუთრებულად გიხარია.

— მატჩ-პოინტისას რაზე ფიქრობდით?

— მანამდე ორი შანსი გავანიავე და ამიტომ არ მინდოდა, ყველაფერი შემთხვევას გადაეწვევია. მინდოდა შეაქტიურა, შემეძია, რათა ანას შეცდომას კი არ დავლოდებოდი, იძულებული გამეხდა, შეცდომა დაეშვა.

— არცთუ ხშირია, როცა ტურნირის სეტწაუგებლად იგებენ. მართლაც შთამბეჭდავია...

— დიან, ნამდვილად უცნაურია. თუმცა სიმართლე გითხრათ, ეს ბოლომდე ვერც გამიხარებია. ერთხელაც არ დავფიქრებულვარ სეტი წაგავე თუ არა. მე ყოველთვის მომდევნო მატჩზე ვახდენდი კონცენტრაციას. ახლაც ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ხვალ კორტზე უნდა გავიდე მორიგი შეხვედრის ჩასატარებლად. თუმცა ნელ-ნელა გამოვალ ამ მდგომარეობიდან და

მამა ამაზე შეჩერებას არ აპირებს და ახლად გახურებულ სეზონს იმედიანადაც შეჰყურებს. შარაპოვა განსაკუთრებით მოუთმენლად ფედერაციის თასის მატჩებსა და ნაკრებში დებიუტს ელოდება და ოლიმპიადასაც იმედიანად ხვდება. თუმცა ამ და ბევრ სხვა საინტერესო თემაზე უკვე თვითონ მარია ილაპარაკებს

ურევით. არ აპირებს, რომელიმე ფინალს თავად დაესწროს?

— ალბათ როდისმე ესეც მოხდება. თუმცა ახლა გამორიცხული იყო — 24 საათიანი ფრენის გადატანა ერთი მატჩის სანახავად უაზრობა იქნებოდა.

— დედაზე დიდი სიყვარულით ლაპარაკობთ ზოლმე. მამაზე რაღას იტყვით — ის ხომ ყველაგან თან დაგვყვება და მეუღლეს ხანდახან თვეებით ვერ ნახულობს...

— დიან, ეს ის მსხვერპლია, რისი გაღებაც თითოეულ ჩვენგანს უწევს. თუმცა ჩვენ მაინც ერთი ოჯახი ვართ, ერთმანეთს ყოველთვის მხარში ვუდგავართ და მხარს ვუჭერთ, რაც ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია.

— ბილი ჯინ კინგმა მოგილოცათ?

— დიან, ის ერთ-ერთი პირველი მილოცავს ხოლმე. მომწერა, ყველაფერი კარგად გააკეთო.

— ბილი ჯინზე ტრიბუნების წინაშე ილაპარაკეთ. როგორ დაიწყო თქვენი ურთიერთობა?

— 13 თუ 14 წლის ვიყავი, როცა ერთ-ერთ იუნიორულ ტურნირზე მოვიდა და მომიკითხა, შემდეგ ჩემს მშობლებს ელაპარაკა. იმის მერე თვალს მადევნებს ხოლმე და დიდ თუ პატარა წარმატებას ყოველთვის მილოცავს, რის გამოც ძალიან ბედნიერი ვარ. როცა ჩოგბურთის ასეთი ლეგენდა არ დაიხარებს და თავისი ცხოვრების თუნდაც ერთ წუთს დახარჯავს იმისთვის, რომ მომილოცოს... ეს ჩემთვის მართლაც ბევრს ნიშნავს.

— ძალიან ძნელი ბადე გქონდათ. ეს ამ გამარჯვებას განსაკუთრებულს არ ხდის?

— ჩემი პირადი გამოცდილებიდან უკვე ვიცი, რომ ბადის სირთულეს არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. შარშან აშშ-ს ღია პირველობის წინ ამბობდნენ, ნახევარ-ფინალმდე იოლი მეტოქეები გვაქვსო და იქ კარიერაში ალბათ ყველაზე ცუდი თამაში ვაჩვენე. აქ კი ბლომად ძლიერ მეტოქეებს დავეტაკე, მაგრამ მაინც ჩემპიონი ვარ. ასე რომ, ბადის სირთულეს მნიშვნელობა არა აქვს — მთავარია, შენ თვითონ როგორ თამაშობ. მთავარია, თამაში წამივიდეს, იმას კი მნიშვნელობა არა აქვს, ვისთან მიმიწევს დატაკება.

— ბოლო ექვსმა თვემ ჟუსტინის ნიშნით ჩაიარა. გინდათ, მისნაირად დომინირებდეთ ქალთა ჩოგბურთს?

— რატომაც არა. თუმცა იქამდე ვერ კიდევ ბევრი მიკვია. ამისთვის არც ფიზიკურად და არც მენტალურად მზად არ ვარ. მაგრამ მეორეს მხრივ, ვერ არც კარიერის პიკზე ვარ — ვფიქრობ, შესაძლებლობების 100 პროცენტი ვერ არ მიჩვენებია და ბლომად კომპონენტებია, რომელთა გამოსწორებაც მე საჭიროება. ასე რომ, ყველაფერი წინაა.

— კორტზე მშვენიერი სიტყვა წარმოთქვით. წინასწარ მოამზადეთ?

— მგონი, მეხუთე ხარო, ვინც მეუბნება კარგი სიტყვა თქვიო. მე კი ჩემთვის გავიფიქრე — მართლა? არადა, ემოციებით ისე ვიყავი დატვირთული, რომ არც კი მახსოვს რაზე ვილაპარაკე.

— რუსეთის ნაკრებში დებიუტისთვის ემზადებით. რატომ გადაწყვიტეთ ნაკრებში თამაში ახლა, როცა ადრე უარზე იყავით?

— ეს პირველი სლემტურნირია, რომელსაც ტრავმის გარეშე ვამთავრებ და არც ცუდად ვარ. ორი კვირის გაძლება იოლი არასდროს არის, რის გამოც დასასვენებლად პაუზის აღება მჭირდებოდა ხოლმე.



ლობის წინ ამბობდნენ, ნახევარ-ფინალმდე იოლი მეტოქეები გვაქვსო და იქ კარიერაში ალბათ ყველაზე ცუდი თამაში ვაჩვენე. აქ კი ბლომად ძლიერ მეტოქეებს დავეტაკე, მაგრამ მაინც ჩემპიონი ვარ. ასე რომ, ბადის სირთულეს მნიშვნელობა არა აქვს — მთავარია, შენ თვითონ როგორ თამაშობ. მთავარია, თამაში წამივიდეს, იმას კი მნიშვნელობა არა აქვს, ვისთან მიმიწევს დატაკება.

— ბოლო ექვსმა თვემ ჟუსტინის ნიშნით ჩაიარა. გინდათ, მისნაირად დომინირებდეთ ქალთა ჩოგბურთს?

— რატომაც არა. თუმცა იქამდე ვერ კიდევ ბევრი მიკვია. ამისთვის არც ფიზიკურად და არც მენტალურად მზად არ ვარ. მაგრამ მეორეს მხრივ, ვერ არც კარიერის პიკზე ვარ — ვფიქრობ, შესაძლებლობების 100 პროცენტი ვერ არ მიჩვენებია და ბლომად კომპონენტებია, რომელთა გამოსწორებაც მე საჭიროება. ასე რომ, ყველაფერი წინაა.

— კორტზე მშვენიერი სიტყვა წარმოთქვით. წინასწარ მოამზადეთ?

— მგონი, მეხუთე ხარო, ვინც მეუბნება კარგი სიტყვა თქვიო. მე კი ჩემთვის გავიფიქრე — მართლა? არადა, ემოციებით ისე ვიყავი დატვირთული, რომ არც კი მახსოვს რაზე ვილაპარაკე.

— რუსეთის ნაკრებში დებიუტისთვის ემზადებით. რატომ გადაწყვიტეთ ნაკრებში თამაში ახლა, როცა ადრე უარზე იყავით?

— ეს პირველი სლემტურნირია, რომელსაც ტრავმის გარეშე ვამთავრებ და არც ცუდად ვარ. ორი კვირის გაძლება იოლი არასდროს არის, რის გამოც დასასვენებლად პაუზის აღება მჭირდებოდა ხოლმე.

გასულ აპრილს კი ექიმებმა პირდაპირ განმიცხადეს, ახლა თუ ითამაშებ, შეიძლება, კარიერის ნაადრევად დასრულება მოგიხდესო. თუმცა ახლა ბენდიერი ვარ, ამის შანსი რომ მექნება. შარშან ფედერაციის თასის ფინალის დროს ნაკრებთან ერთად ვიყავი და ძალიან მომეწონა იტალიური ატმოსფერო, გოგობთან ურთიერთობა. ასე რომ, ნაკრებში თამაში ჩემი ერთ-ერთი პრიორიტეტია. თან ისრაელში მიგვიწვევს სტუმრობა — იქ კი არასდროს ვყოფილვარ და გამოდის, ახალ ქვეყანასაც ვნახავ.

— ოლიმპიადაზე უკვე დაიწყო ფიქრი?

— ესეც ჩემი ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. ოლიმპიადას ჩვენ, ჩოგბურთელებიც კი არ განვიხილავთ, როგორც ჩვეულებრივ ტურნირს და განსაკუთრებულად ვემზადებით. თანაც მოუთმენლად ველოდები გახსნას — მშობლები ამის ყურების საშუალებას ყოველთვის მაძლევდნენ და ტელევიზორთან გვიანობამდე ვიჯექი ხოლმე. მგონი, ახლაც ასე იქნება.

— ოლიმპიურ ოქროს არჩევდით თუ კიდევ ერთ უიმბლდონურ ტიტულს?

— ძნელი ასარჩევია. რადგანაც უიმბლდონი უკვე მოგებული მაქვს, ალბათ მაინც ოქროს ვარჩევდი, მაგრამ სხვა ნებისმიერი ტურნირი რომ გეთქვით, მაშინ უიმბლდონს ვიტყვოდი.

— ხომ არ გერჩიათ ფინალი დამე გეთამაშათ?

— არა. ეს ყველაზე ცხელი სასლემო ფინალი იყო, რაც კი აქამდე მითამაშია. აშშ-ში საერთოდ გვიან დამე მომიწია კორტზე გასვლა. ასე რომ, ეს სასიამოვნო ცვლილება იყო. კმაყოფილი ვარ ასეთი გამოცდილებაც რომ შევიძინე.



პირაპი თავპუი და ჩაჩის პირპელი



ფიკაციაში მეხუთე ადგილზე აღ-
ზევდა.
მოულოდნელი იყო კანადელი ჩა-
ნდრა კროუფორდის გამარჯვება მე-
ორე სპრინტში, ოღონდ ეგაა, რომ
მასპინძლებს დიდად არ უნდვლი-
ათ, რომ მათი თანამემამულის გა-
მარჯვება სენსაციად მოინათლა.

რიპით მეორე საახალწლო
„სათხილაშური ტურის“ შემდეგ ბა-
რის მოთხილაშურეებს ორკვირია-

ლი დაიკავა, სპრინტშიც მოიპოვა
ქულები და გენერალურ კლასი-

Table with 2 columns: Rank, Name, Country, Points. Includes sub-headers like 'საპრინტი. 1,2 კმ თავისუფალი სტილით. ინდივიდუალური' and 'საერთო ჩა თვლა'.

კანადაში არ ჩასულან წლებეან-
დელი „სკი-ტურის“ გამარჯვებუ-
ლები, ჩეზი ლუკაშ ბაუერი და შვე-
დი შარლოტა კალა და, თუ მსოფ-
ლიოს თასის გენერალურ კლასი-

Table with 2 columns: Rank, Name, Country, Points. Includes sub-headers like 'საპრინტი. 1,2 კმ თავისუფალი სტილით' and 'საერთო ჩათვლა'.

კენმორში ქალებმაც და კაცე-
ბმაც ოთხ-ოთხჯერ მოსინჯეს ძა-
ლა — ორჯერ სპრინტში და თი-
თოჯერ დუატლონსა და ინდივი-
დუალურ რბოლაში. კუიტუნენს

სიგით მოხვეტილი ოქროები

მასპინძლების, გერმანელი
მოციგავეების სრული ტრიუმფით
დასრულდა ობერპოფში გამართუ-
ლი საიუბილეო, მე-40 მსოფლიოს
ჩემპიონატი საციგაო სპორტში.

ლკე კრაუნხაარს ერგო, ვინც სე-
ზონის ბოლოს დიდი სპორტიდან
მიდის და როგორც ვხედავთ, პენ-
სიაზე გასვლის წინ, სილკემ თა-
ვისი უმდიდრესი კოლექცია ერთი
მედლითაც შეავსო.

კაცებში საუკეთესო იყო 18 წლის
ფელიქს ლიოხი და ასე ახალგა-

Table with 2 columns: Rank, Name, Country, Points. Includes sub-headers like 'მსოფლიოს ჩემპიონატი. ოპარპოზი. ბარბანია. 25-27 იანვარი' and 'ქალაქი: 1. ტატიანა პიუნფერი'.

ზრდა მოციგავეს მსოფლიოს ჩემპი-
ონატი აქამდე არასოდეს მოუგია.
ერთიც ვთქვათ, რომ დღემდე გა-
მართული 40 მსოფლიოს ჩემპიონა-
ტიდან გერმანელებმა გუნდურ ჩათ-
ვლაში, უკვე ოცდამეათედ იმარჯვეს
და თანაც, მეორემეტედ მოახერხეს
ყველა ოქროს მედლის მოპოვება.



ბარდალს პრტის აყო

პოლონეთის სამთო კურო-
რტმა ზაკოპანემ გასულ უქმეებზე
თხილაშურებით ტრამპლინიდან მხ-
ტომელთა მსოფლიოს თასის მო-
რიგ ეტაპს უმასპინძლა. სამდღია-

ვებულები, ავსტრიელი ტომას მო-
რგენშტერნი, შვეიცარიელი სიმონ
ამანი და მასპინძლების კერპი ადამ
მალიში.

პირველი, ორნახტომიანი შეჯიბრი
კი 17 წლის ავსტრიელმა გრეგორ
შლირენცაურმა მოიგო. აქ მორგენ-
შტერნი მესამე იყო, მან ორივე ჯე-
რზე აჯობა გენერალურ კლასიფი-
კაციაში თავის უახლოეს მღვეარს,
ფინელ ინე აპონენს და კიდევ უფრო
განიმტკიცა საერთო ჩათვლის
მოწინავეს პოზიცია — ახლა მორ-
გენშტერნი „ოთხი მთის ტრამპლი-
ნის“ ხუთგზის გამარჯვებულ აპო-
ნენს, უკვე 410 ქულით უსწრებს.

Table with 2 columns: Rank, Name, Country, Points. Includes sub-headers like 'მსოფლიოს თასი. ზაკოპანე. პოლონეთი. 25-27 იანვარი' and 'პირაპი. HS 134'.

Table with 2 columns: Rank, Name, Country, Points. Includes sub-headers like 'პირაპი. HS 134 (1 ნახტომი)' and 'საერთო ჩათვლა'.

Table with 2 columns: Rank, Name, Country, Points. Includes sub-headers like 'საერთო ჩათვლა' and 'საერთო ჩათვლა'.

აპერმანი მესამე გზაზე

ჩრდილოეთის კომბინაციად წოდებული სათხილაშური ორჭიდის
მსოფლიოს თასის მორიგ ეტაპს ავსტრიულმა ზეფელდმა უმასპინძლა.

ეტაპის პროგრამაში ორი სახეობა იყო — სპრინტი და გამოდევნება.
მასპინძელთა გასახარად, ზეფელდში ყველაზე უკეთ ავსტრიელი
კრისტოფ ბილერი გაისარჯა, რომელმაც სპრინტი მოიგო და გამოდევ-
ნებაში მესამე ადგილი დაიკავა ფრანგი ფესონ ლამი შაპუისა და კიდევ
ერთი ავსტრიელის ბერნარდ გრუბერის შემდეგ.

საერთო ჩათვლაში დიდი უპირატესობით ლიდერობს გერმანელი რო-
ნი აკერმანი, რომელიც მეორე ადგილზე მყოფ ამერიკელ ბილ ლემონგს
215 ქულით უსწრებს და სასწაული უნდა მოხდეს, აკერმანმა კარიერა-
ში მესამე მსოფლიოს თასი რომ ვერ მოიპოვოს.

საერთო ჩათვლაში დიდი უპირატესობით ლიდერობს გერმანელი რო-
ნი აკერმანი, რომელიც მეორე ადგილზე მყოფ ამერიკელ ბილ ლემონგს
215 ქულით უსწრებს და სასწაული უნდა მოხდეს, აკერმანმა კარიერა-
ში მესამე მსოფლიოს თასი რომ ვერ მოიპოვოს.


Table with 2 columns: Rank, Name, Country, Points. Includes sub-headers like 'მსოფლიოს თასი. ზეფელდი. ავსტრია. 26-27 იანვარი' and 'სპრინტი (1 ნახტომი HS100 ტრამპლინიდან + 7,5 კმ)'.

რუბრიკას ნარმოვიდგანთ

Mobil 1

№ 1 სავაჭრომოგილო ზეთი

ლოების მესამე სამთავრო



სებასტიენ ლოები და დანიელ ელენა მონაყოს მთავარმა აღბერმა დააჯილდოვა

მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონის, ფრანგი სებასტიენ ლოების გამარჯვებით დაიწყო 2008 წლის მსოფლიოს ჩემპიონატიც...

რლო იყო, მაგრამ მეორე დღის ბოლოს ესპანელს ავარია შეემთხვა, ბლომად დრო დაკარგა და საბოლოო ჯამში მე-11 ადგილს დასჯერდა...

მძაფრი ბრძოლა გაჩაღდა ავსტრიელი კრის ატკინსონსა (სუბარუ) და ბელგიელ ფრანსუა დიუვალს (ფორდი) შორის...

მესამე ადგილისთვის უაღრესად

კახა ლომაძე

მონტა კარლოს რალის გამარჯვებულები 1991 წლიდან

Table with columns for year and winner details: 1991 კარლოს საინსი (ესპანეთი, ტოიოტა), 1992 დიდეე ორიოლი (საფრანგეთი, ლანჩა)...

მსოფლიოს ჩემპიონატი რალიში 1 პტაპი. 76-ე მონტა კარლოს რალი. 25-27 იანვარი

Table with race results: 1. სებასტიენ ლოები (საფრანგეთი, სიტროენი) 3 სთ 39 წთ 17,0 წმ, 2. მიკო პირვონენი (ფინეთი, ფორდი) 3:41.51,4...

მეიპ ან ზემს სუპერთურირი

ვეიკ ან ზემს, პოლანდია, 11-27 იანვარი

XIII ტური

Table with driver names, teams, and times: ვასილ ივანჩუკი (უკრაინა) 0,5:0,5, ლუკ ვან ველი (პოლანდია) 0,5:0,5...

საბოლოო მდგომარეობა

Table with final standings: 1-2. მაგნუს კარლსენი 8, 7-8. მაიკლ ადამსი 6,5, 1-2. ლევონ არონიანი 8, 9-11. ვესელის ტოპალოვი 6...

ორთავიანი საიუბილეო

მეიპ ან ზემს საიუბილეო, 70-ე ტურნირი მაგნუს კარლსენმა და ლევონ არონიანმა მოიგეს...

მს. იდან ლაზიერ-ეტლით შეუტია, ფლანგი გაურღვია და მცირე უპირატესობას დაუფლა...

ტურნირი ამჟამად ჩააგდეს ფავორიტებმა - მსოფლიოს ჩემპიონი ვიშვანათან ანანდი მესამე ადგილს დასჯერდა...

ბოლო ტურში როგორც იქნა მოიგო ბორის გელფანდმა. ებრაელმა მოჭადრაკემ თეთრი ფიგურებით თავისუფალი აუტსაიდერი პაველ ელიანოვი დაამარცხა...

ბოლო ტურში მთავარი დაპირისპირება ანანდ-კრამნიკის შეხლა იყო. დიდოსტატებს სექტემბერში მსოფლიოს ჩემპიონატიზე ვლით მატჩი და მანამდე ასეთ ტურნირებში ზვერავენ ერთმანეთს...

იუბილეუსთან დაკავშირებით ორგანიზატორებმა ტურნირზე ვეტერანებიც მიიწვიეს, შვეიცარიელი ვიქტორ კორჩნოი, პოლანდიელი იან ტიმანი, სერბი ლიუბომირ ლუბოვიჩი და უნგრელი ლაიოშ პორტიში...

პარტია ინდუსმა კლასიკური e4-ით დაიწყო, მხედარ-პაიკი გაუცვალა მეტოქეს და მეომრები იერიშისთვის მომართა...

ლაშა გუგუშვილი



ლევონ არონიანი ტიტული მაგნუს კარლსენთან ერთად გაიყო

სარბიელი საორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან გამოდის ორაბათს, სამაბათს, ოთხაბათს, ხუთაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ზონიანი, დირექტორი ბიორგი ოქროძე, მთავარი რედაქტორი ბიორგი ლარჯანიანი, მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე, ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი...

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე მახაბაძის გამზირი 42, 11 კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29 ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge ელექტრონული ვებსაიტი http://www.sarbieli.com.ge